ᲛᲗᲔᲚᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲫᲐᲚᲔᲑᲘ, ᲛᲗᲔᲚᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲪᲮᲝᲠᲪᲮᲚᲘ ᲓᲐ ᲣᲜᲐᲠᲘ

ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲰᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲣᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲠᲔᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 294 (12502)
ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 18 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ, 1962 Წ.
ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ 43-Ე ᲬᲚᲘ

ᲤᲐᲡᲘ 2 ᲙᲐᲞ.

ᲓᲘᲓ ᲛᲘᲖᲐᲜᲘ — ᲓᲘᲓᲘ ᲔᲜᲔᲠᲒᲘᲐ!

ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲞᲘᲠᲘᲡ, ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲐᲠᲗᲔᲑᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲓᲚᲔᲔᲑᲘᲐ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

ᲡᲑᲙᲗᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲕᲓᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲠᲝᲛᲐ ᲐᲮᲚᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘᲐ ᲘᲧᲝᲗ, ᲠᲝᲛ ᲩᲐᲠᲗᲚᲘᲗ ᲒᲐᲜᲒᲗᲘᲡᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲨᲕᲘᲓᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲛᲔᲗᲠᲛᲔᲢᲘ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐᲜᲘ. ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲬᲐᲛᲘᲠᲗᲣᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲑᲐᲗᲐᲡᲗᲐᲜ, ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲘ ᲐᲦᲛᲐᲕᲚᲝᲑᲘᲡ ᲙᲝᲜᲙᲠᲔᲢᲣᲚᲘ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲐᲜᲘ, ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚ-ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲡ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲞᲠᲘᲜᲪᲘ�პᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ ᲨᲔᲣᲡᲐᲑᲐᲛᲚᲐᲓ ᲓᲐᲪᲕᲐ, ᲠᲐᲪ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲒᲐᲠᲓᲐᲛᲝᲜᲐ ᲐᲚᲓᲒᲐᲛᲘᲡ ᲙᲝᲜᲙᲠᲔᲢᲣᲚᲘ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲔᲑᲘ ᲨᲔᲣᲡᲐᲑᲐᲛᲚᲐᲓ ᲓᲐᲪᲕᲐ.

ᲕᲘᲨᲠᲝᲛᲝᲗ ᲣᲪᲔᲝᲡᲚᲐᲓ, ᲕᲐᲠᲬᲐᲛᲝᲝᲗ ᲛᲔᲢᲐᲚᲘ ᲓᲐ ᲫᲐᲠᲘ, ᲛᲐᲜᲒᲐᲜᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲗᲐᲛᲑᲝ. ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲘ! — ᲐᲡᲔᲗᲘᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲘᲡᲜᲝᲜ ᲣᲠᲗᲝᲤᲔᲑᲘ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲣᲚᲘ ᲮᲛᲐᲡ. ᲨᲠᲝᲛᲘᲗ ᲓᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲕᲓᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲗ ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲐ ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲨᲕᲔᲚᲘᲐᲜᲘ ᲬᲘᲜᲐᲛᲫᲦᲝᲠᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲜᲒᲗᲘᲡᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲨᲕᲘᲓᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ.

ᲕᲘᲨᲠᲝᲛᲝᲗ ᲣᲙᲔᲗᲔᲡᲐᲓ, ᲕᲐᲠᲬᲐᲛᲝᲝᲗ ᲛᲔᲢᲘ ᲚᲘᲢᲝᲜᲘ ᲓᲐ ᲪᲮᲘᲚᲘ, ᲛᲐᲜᲔᲚᲘᲜᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲗᲐᲛᲑᲝ. ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲘ! — ᲐᲡᲔᲗᲘᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲘᲡᲜᲝᲜ ᲣᲠᲗᲝᲤᲔᲑᲘ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲣᲚᲘ ᲮᲛᲐᲡ. ᲨᲠᲝᲛᲘᲗ ᲓᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲕᲓᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲗ ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲐ ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲨᲕᲔᲚᲘᲐᲜᲘ ᲬᲘᲜᲐᲛᲫᲦᲝᲠᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲜᲒᲗᲘᲡᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲨᲕᲘᲓᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ.

ᲕᲘᲨᲠᲝᲛᲝᲗ ᲣᲐᲮᲚᲔᲡᲘ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲡᲘᲪᲮᲚᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲐ, ᲠᲐᲪ ᲛᲣᲨᲝᲑᲐ ᲓᲐᲐᲛᲓᲒᲐᲠᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲚᲐᲛᲞᲠᲘᲡ ᲜᲗᲘᲗᲘ ᲐᲜᲗᲘᲡᲘᲡ ᲛᲘᲛᲬᲝᲠᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲐᲮᲚᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘᲐ ᲘᲧᲝᲗ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲡᲐᲛᲬᲣᲮᲐᲠᲝ ᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲨᲔᲣᲤᲐᲡᲔᲑᲚᲐᲓ ᲐᲠ ᲓᲐᲒᲕᲘᲜᲘᲧᲝᲗ, ᲠᲝᲛ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘᲐ ᲐᲛ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲨᲔᲣᲤᲐᲡᲔᲑᲚᲐᲓ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ.

ᲕᲘᲨᲠᲝᲛᲝᲗ ᲣᲙᲔᲗᲔᲡᲐᲓ, ᲕᲐᲠᲬᲐᲛᲝᲝᲗ ᲛᲔᲢᲘ ᲚᲘᲢᲝᲜᲘ ᲓᲐ ᲪᲮᲘᲚᲘ, ᲛᲐᲜᲔᲚᲘᲜᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲗᲐᲛᲑᲝ. ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲘ! — ᲐᲡᲔᲗᲘᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲘᲡᲜᲝᲜ ᲣᲠᲗᲝᲤᲔᲑᲘ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲣᲚᲘ ᲮᲛᲐᲡ. ᲨᲠᲝᲛᲘᲗ ᲓᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲕᲓᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲗ ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲐ ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲨᲕᲔᲚᲘᲐᲜᲘ ᲬᲘᲜᲐᲛᲫᲦᲝᲠᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲜᲒᲗᲘᲡᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲨᲕᲘᲓᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲘ ᲐᲦᲛᲐᲕᲚᲝᲑᲘᲡ ᲙᲝᲜᲙᲠᲔᲢᲣᲚᲘ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲘ, ᲠᲐᲪ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲐ ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲓᲐᲬᲧᲝᲗ ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲑᲐ ᲛᲔᲠᲒᲔᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ.

ᲡᲐᲛᲭᲝᲠᲗᲚᲘᲡ ᲣᲙᲐᲡᲢᲐᲙᲔᲑᲔᲑᲘ

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲛᲘᲯᲜᲐᲖᲔ

ᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲠᲔᲕᲬᲕᲔᲚᲝᲑᲐᲛ ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲐ ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲒᲔᲒᲛᲐ

ᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲠᲔᲕᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲔᲑᲛᲐ, რᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲔᲜ ᲡᲙᲙᲞ XXII ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲔᲑᲡ, ᲤᲐᲠᲗᲝᲓ ᲒᲐᲨᲐᲚᲔᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐ ᲨᲕᲘᲓᲬᲚᲔᲓᲘᲡ ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲝ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲘᲡ ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ 17 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲡ, ᲔᲡᲔ ᲘᲒᲘ ᲜᲐᲙᲘᲡᲠ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲖᲔ ᲮᲣᲗᲘ ᲓᲦᲔᲗ ᲐᲓᲠᲔ, ᲒᲐᲐᲜᲐᲦᲓᲔᲡ ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲘ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲔᲢᲧᲕᲘᲚᲗᲐ ᲡᲐᲡᲣᲠᲕᲔᲚᲗᲐ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲨᲕᲔᲑᲐ, 1962 ᲬᲚᲘᲡ ᲡᲐᲡᲣᲠᲕᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐ.

ᲡᲐᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲪᲣᲚᲝᲑᲐ ᲨᲐᲠᲨᲐᲜᲓᲔᲚᲗᲐᲜ ᲨᲔᲓᲐᲠᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲘᲖᲐᲠᲓᲐ 7 ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘᲗ, ᲮᲝᲚᲝ ᲡᲣᲚ ᲨᲕᲘᲓᲬᲚᲔᲓᲘᲡ ᲒᲐᲡᲣᲚᲘ 4 ᲬᲚᲘᲡ ᲛᲐᲜᲫᲘᲚᲖᲔ — 34,2 ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘᲗ, ᲨᲠᲛᲘᲡ ᲜᲐᲧᲝᲤᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲒᲐᲓᲐᲦᲓᲐ 2,5 ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘᲗ, ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘᲐ ᲗᲕᲘᲗᲦᲘᲠᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘᲡ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲨᲔᲛᲪᲘᲠᲔᲑᲐ.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲗᲐ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘ ᲓᲐᲣᲦᲚᲐᲚᲐᲕᲐᲓ ᲨᲠᲝᲛᲝᲑᲔᲜ ᲐᲮᲚᲘ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔ ᲓᲐᲜᲔᲠᲒᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐᲢᲣᲠᲐᲓ ᲡᲠᲣᲚᲧᲝᲤᲔᲜ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐᲡ, ᲘᲧᲔᲜᲔᲑᲔᲜ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝ ᲠᲔᲖᲔᲠᲕᲔᲑᲡ.

ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲐᲮᲚᲐᲡᲬᲠᲐᲤᲘ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔ ᲓᲐᲜᲔᲠᲒᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐᲢᲣᲠᲐᲓ ᲡᲠᲣᲚᲧᲝᲤᲔᲜ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐᲡ, ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘᲐ ᲘᲧᲔᲜᲔᲑᲔᲜ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝ ᲠᲔᲖᲔᲠᲕᲔᲑᲡ.

ᲬᲚᲘᲡ ᲑᲝᲚᲝᲛᲓᲔ ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲛᲔᲢᲔᲑᲘᲗ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲠᲔᲕᲬᲕᲔᲚᲝᲑᲐ ᲒᲐᲛᲝᲣᲨᲕᲔᲑᲡ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲐᲗᲔᲣᲚᲘ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘᲗ ᲛᲐᲜᲗᲔᲗᲘᲡ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲐᲡ.

ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲡᲐᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲗᲐ ᲛᲣᲨᲔᲑᲘ, ᲘᲜᲟᲘᲜᲔᲠᲘᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘ, ᲐᲦᲤᲠᲗᲝᲕᲜᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲣᲦᲚᲐᲚᲐᲕᲐᲓ ᲨᲠᲝᲛᲝᲑᲔᲜ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔ ᲓᲐᲜᲔᲠᲒᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐᲢᲣᲠᲐᲓ ᲡᲠᲣᲚᲧᲝᲤᲔᲜ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐᲡ, ᲘᲧᲔᲜᲔᲑᲔᲜ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝ ᲠᲔᲖᲔᲠᲕᲔᲑᲡ.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲗᲐ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘ ᲓᲦᲔᲡ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲢᲔᲛᲞᲘᲗ ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲑᲔᲜ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲑᲐᲗᲐ ᲡᲐᲛᲝᲪᲓᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘᲗ. ᲒᲣᲠᲯᲐᲐᲜᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲝᲑᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲣᲚ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝ ᲡᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲑᲔᲠᲘ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲐᲥᲕᲗ ᲡᲐᲥᲛᲔᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲨᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐᲨᲘ. ᲛᲔᲮᲘᲝᲚᲘᲔᲗᲛᲐ ᲨᲘᲜᲐᲣᲠᲘ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲑᲐᲗᲐᲡᲗᲐᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲐᲥᲕᲗ ᲓᲐᲛᲐᲚᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲜᲔᲠᲒᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲚᲐᲓ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲐ.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲗᲐ ᲛᲣᲨᲔᲑᲘ ᲓᲐᲣᲦᲚᲐᲚᲐᲕᲐᲓ ᲨᲠᲝᲛᲝᲑᲔᲜ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔ ᲓᲐᲜᲔᲠᲒᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐᲢᲣᲠᲐᲓ ᲡᲠᲣᲚᲧᲝᲤᲔᲜ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐᲡ, ᲘᲧᲔᲜᲔᲑᲔᲜ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝ ᲠᲔᲖᲔᲠᲕᲔᲑᲡ.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲗᲐ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘ ᲓᲦᲔᲡ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲢᲔᲛᲞᲘᲗ ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲑᲔᲜ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲑᲐᲗᲐ ᲡᲐᲛᲝᲪᲓᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘᲗ. ᲒᲣᲠᲯᲐᲐᲜᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲝᲑᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲣᲚ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝ ᲡᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲑᲔᲠᲘ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲐᲥᲕᲗ ᲡᲐᲥᲛᲔᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲨᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲔᲠᲩᲔᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲓᲐᲛᲐᲙᲐᲠᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲚᲣᲚᲘ ᲓᲐᲜᲘᲨᲕᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ

ᲐᲛᲮ. Მ. Ი. ᲙᲣᲭᲐᲕᲐᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲘᲡᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲨᲕᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲓ ᲓᲐᲜᲘᲨᲕᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ

ვ. ი. ლენინი პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის შესახებ

დიდმა ლენინმა შექმნა ჩვენი საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო, როგორც სრულიად ახალი, უმაღლესი ტიპის სახელმწიფო.

მსოფლიოში ამ პირველი სოციალისტური სახელმწიფოს მმართველობის ორგანიზაციული პრინციპები და ფორმები შეიმუშავა ლენინის გენიამ, მან განსაზღვრა პარტიული საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ფუნქციები, როლი, ადგილი და ურთიერთდამოკიდებულება საბჭოთა სახელმწიფოს მთელ სისტემაში.

ამრიგად, ვ. ი. ლენინის მეთაურობით განხორციელდა ყველა სახელმწიფო მანქანის ულმობელი მსხვრევისა და ახალი სახელმწიფო მანქანის შექმნის დიადი ისტორიული პროცესი, რომლის აუცილებლობაზე თავის დროზე მიუთითებდნენ კ. მარქსი და ფ. ენგელსი.

როცა ვ. ი. ლენინი ქმნიდა ამა თუ იმ სახელმწიფოებრივ და სამეურნეო ორგანოს, აწესრიგებდა და განსაზღვრავდა მათს ურთიერთდამოკიდებულებას, ფუნქციებსა და ამოცანებს, გამოდიოდა ორი უმთავრესი პრინციპიდან ახალი მდგომარეობიდან.

ჯერ-ერთი — იქიდან, რომ საბჭოთა სახელმწიფოს როლი სულ სხვაა, ვიდრე მანამდე არსებული ყველა ტიპის სახელმწიფოსი. საბჭოთა სახელმწიფო არის ახალი, სოციალისტური საზოგადოების აშენების მთავარი იარაღი, იგი მემკვიდრეობით არ იღებს საზოგადოებრივი ცხოვრების არც ერთ მზაზარეულ ფორმას, მას თვითონ უნდება შექმნას სოციალიზმის ეკონომიკა და სოციალისტური კულტურა, დაანგრიოს ძველი საზოგადოებრივი შენობა და ააშენოს ახალი. ამასთან ამას იგი აკეთებს რაიმე გამოცდილების, სათანადო ნიმუშების უქონლად.

მეორე — საბჭოთა სახელმწიფო თავისი ბუნებით ყველაზე დემოკრატიული, ყველაზე მასობრივი ხელისუფლებაა, სადაც მართვა-გამგეობის ყველა რგოლში აქტიურად მონაწილეობენ მშრომელთა უფართოესი მასები. ეს თვითონ ხალხის ხელისუფლებაა, მას ეკუთვნის როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელი ძალაუფლება.

ვ. ი. ლენინმა იცოდა, რომ ჩვენს უზარმაზარ ქვეყანაში, სადაც მთელი საწარმოო ძალები, ბუნებრივი რესურსები და სიმდიდრეები საბჭოთა ხელისუფლების პირველი დღეებიდანვე — ეს იყო საბჭოთა სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატი. მაგრამ იგი ხშირად ვერ ახორციელებდა ნამდვილ ფაქტიურ კონტროლს, რადგან მასში მეტწილად მუშაობდნენ მეფის რუსეთის ყოფილი მოხელეები. ამ ნაკლს რამდენადმე ავსებდა მუშათა კონტროლი წარმოებასა და განაწილებაზე, მაგრამ საბჭოთა სახელმწიფო კონტროლის აპარატი მაინც ვერ ასრულებდა მის წინაშე დასახულ დიდ ამოცანებს.

1919 წელს მოხდა საბჭოთა სახელმწიფო კონტროლის რეორგანიზაცია — მისი დემოკრატიზაცია, კონტროლში ჩაბმულ იქნენ მუშათა და-გლეხთა მასები და იგი გახდა მშრომელთათვის მახლობელი და გასაგები, მოკნილი და ქმედითი. იქმნებოდა დიდი რწმენებებით აღჭურვილი კომისიები, ჯგუფები, რომლებიც რეკვიზიციებს ატარებდნენ. ამას ლენინმა „მოძრავი კონტროლი“ უწოდა.

კონტროლის ეს ორგანო არსებობდა 1920 წლის თებერვლამდე. 7 თებერვალს შეიქმნა მუშაგლეხთა ინსპექციის ორგანო. მუშაგლეხთა ინსპექციის წევრებს ირჩევდნენ ფაბრიკების, ქარხნების, მაღაროების, სოფლის კრებებზე.

ასე ეწყობოდა მშრომელთა ფართო მასების ჩაბმა მართვა-გამგეობაში.

მუშაგლეხთა ინსპექციის გარდა პარტიული ხაზით ცალკე არსებობდა პარტიული კონტროლის კომისია.

ვ. ი. ლენინი სისტემატურად წარმართავდა ამ საკონტროლო ორგანოების მუშაობას, განსაზღვრავდა მათს ფუნქციებს, უსახავდა ამოცანებს და სრულყოფდა მათს საქმიანობას. მაგრამ სახელმწიფო მუშაობის გაფართოების შედეგად, პარტიული სახელმწიფოებრივი და სამეურნეო მშენებლობის ზრდის შედეგად სულ უფრო აშკარა ხდებოდა, რომ კონტროლის არსებული ფორმები ვერ უზრუნველყოფდნენ პარტიისა და მთავრობის ლენინსეულ მითითებათა შესრულების ეფექტურ შემოწმებას. ვ. ი. ლენინმა საჭიროდ დაინახა მოუხდინა მუშაგლეხთა ინსპექციისა და პარტიული კონტროლის კომისიის გაერთიანება და შეექმნა კონტროლის ერთიანი ძლიერი სისტემა. ვ. ი. ლენინმა ვრცლად დაასაბუთა ამის აუცილებლობა, ასევე კონტროლის უპირატესობა, მისი ფუნქციები და ამოცანები თავის ორ წერილში: **„როგორ მოვახდინოთ მუშაგლეხთა რეორგანიზაცია“** და **„უმჯობესია ცოტა და კარგი“**, გაუგზავნა ისინი პარტიის XII ყრილობას და მოითხოვა ამ საკითხის გადაწყვეტა.

ყრილობამ ერთსულოვნად მიიღო ლენინის წინადადება და მიიღო გადაწყვეტილება, რომლის მიხედვით განხორციელდა მუშაგლეხთა ინსპ. და პარტიული კონტროლის გაერთიანება და შეიქმნა კონტროლის ერთი, ერთიანი ორგანო — ცენტრალური საკონტროლო კომისია — მუშაგლეხთა.

ვ. ი. ლენინი მრავალი წლის მანძილზე ამუშავებდა და ასაბუთებდა კონტროლის ძირითად პრინციპებს, თანდათანობით სრულყოფდა მათ. ვ. ი. ლენინის ეს შეხედულებანი განვითარებულია მის მრავალ შრომაში, სტატიასა და წერილში, პარტიული და საბჭოთა დადგენილებების მის მიერ შედგენილ პროექტებში, პასუხისმგებელი მუშაკებისათვის გაგზავნილ პირად ბარათებში.

კონტროლის ასეთი სისტემა ერთხანს არსებობდა, მაგრამ შემდეგ სტალინის პიროვნების კულტის პირობებში იგი უკუგდებულ იქნა და შეიცვალა მასებს მოწყვეტილი ბიუროკრატიული საკონტროლო აპარატით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1962 წლის ნოემბრის პლენუმმა სამეურნეო ორგანოებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გარდამავლობასთან დაკავშირებით აღადგინა პარტიული კონტროლის ორგანიზაციის ლენინური პრინციპები, გაერთიანა პარტიული და საბჭოთა კონტროლი და კვლავ შექმნა ერთიანი პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტი, რაც საამედო იარაღი იქნება პარტიისა და სახელმწიფოს ხელში მართვის მთელი მექანიზმის სრულყოფის საქმეში.

რ ოგორია ვ. ი. ლენინის მიერ შემუშავებული კონტროლის პრინციპები?

უწინარეს ყოვლისა ვ. ი. ლენინი თანმიმდევრულად, დაბეჯითებით ასაბუთებდა, რომ კონტროლის ორგანიზაცია სასიცოცხლოდ აუცილებელია, რომ უამისოდ შეუძლებელია საბჭოთა სახელმწიფოს არსებობა, უამისოდ შეუძლებელია საქმის წარმატება, რომ ეს მთელი ჩვენი პოლიტიკის უმთავრესი საკითხია. ვ. ი. ლენინი ამბობდა: **„ადამიანთა შემოწმება და საქმის ფაქტიური შესრულების შემოწმება** — ეს, კიდევ ეს, მხოლოდ ეს არის ამჟამად მთელი მუშაობის, მთელი პოლიტიკის ღერძი“ (თხზ., ტ. 33, გვ. 260). ვ. ი. ლენინი მრავალგზის იმეორებს ამ ამოცანას და სულ უფრო კატეგორიული ფორმით აცხადებს, რომ პირველი რიგის ამოცანაა **„ადამიანთა შერჩევა; ინდივიდუალური პასუხისმგებლობის** დაწესება **შესრულებული საქმისათვის; ფაქტიური მუშაობის შემოწმება“** (ტ. 35, გვ. 576).

ვ. ი. ლენინს აუცილებლად მიაჩნდა კონტროლი ყოფილიყო ერთიანი თავიდან ბოლომდე, რომელიც შეეხებოდა როგორც პარტიულ, ისე სახელმწიფო ორგანოებს, უკლებლივ ყველა სახის „დაწესებულებასა და ორგანიზაციას, ამიტომ მოითხოვდა იგი რკპ (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიისა და მუშაგლეხთინის გაერთიანებას. ლენინი ყოველმხრივ ასაბუთებდა პარტიული და საბჭოური კონტროლის შეერთებას, მათ ერთიან კონტროლად გარდაქმნის უპირატესობას. დიდ ბელადს მიაჩნდა, რომ ამ ორი სახის კონტროლის გაერთიანებით მოხდებოდა უაღრესად ავტორიტეტული პარტიული ხელმძღვანელის შეერთება ჩვეულებრივ სახალხო კომისარიატთან და ამით ამაღლდებოდა კონტროლის ძალა, მისი ავტორიტეტი. ამიტომ აცხადებდა ლენინი: **„განა ეს მოკნილი შეერთება საბჭოურისა და პარტიულისა ჩვენი პოლიტიკის უაღრესი ძლიერების წყარო არ არის?“** (ტ. 33, გვ. 586).

ასეთ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა რა პარტიულ-სახელმწიფო კონტროლს, ვ. ი. ლენინი ამავე დროს კატეგორიულად შენიშნავდა, რომ ამ ორგანოს მაშინ შეეძლება შეასრულოს მისთვის მიკუთვნებული დიდი პარტიული და სახელმწიფოებრივი ფუნქცია, თუ იგი დაკომპლექტებული იქნება შესაფერისი მუშაკებით. მაგრამ ვინ არიან ეს შესაფერისი მუშაკები?

ვ. ი. ლენინი თვლიდა, რომ კონტროლის ორგანოებში უნდა მუშაობდნენ უაღრესად მცოდნე. მეტად გამოცდილი პირები, რომლებმაც კარგად იციან ჩვენი სახელმწიფო აპარატის შინაგანი ცხოვრება, ფუნქციები, საქმიანობა, ყოველი ცალკე ორგანოს დანიშნულება, მისთვის დამახასიათებელი მუშაობის მეთოდები. ეს აუცილებელია, მაგრამ ეს სულაც არ კმარა. კონტროლის ორგანოებში სამუშაოდ დაყენებულ უნდა იქნან პოლიტიკურად სანდო, ერთგული ადამიანები, როგორც ლენინი ამბობდა, „ამხოლუტურად კეთილსინდისიერი პირები“, ისეთები, რომლებიც „არც ერთ სიტყვას სინდისის წინაღმდეგ არ იტყვიან“ და შეეძლებათ პრინციპული ხაზის გატარება რევიზიებისა და შემოწმებათა პროცესში, შესრულებული მუშაობის შეფასების საქმეში.

ასე დასტა დიდმა ლენინმა პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოების მუშაკის ტიპი.

ვ. ი. ლენინის ამ მითითებით ხელმძღვანელობენ ახლა პარტიული ორგანოები, როცა არჩევენ და ნიშნავენ ამჟამად შექმნილ პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოების მუშაკებს.

კ ონტროლის ფუნქციები და ამოცანები ვ. ი. ლენინმა თავის ერთ-ერთ წერილში უაღრესად შეკუმშული სახით გამოთქვა ასე: კონტროლმა უნდა უზრუნველყოს **„მატერიალურ ფასეულობათა დაცვა“, „მუშაობის სისწორის შემოწმება“**, და **„მუშაობის რაც შეიძლება მეტი პროდუქტიულობის უზრუნველყოფა“**. სხვა ადგილას ლენინს უფრო გაშლილი სახით აქვს ჩამოყალიბებული ეს ამოცანები, და ასე ვთქვათ, გაშიფრულია ზემოთ დასახელებული სამი ამოცანა.

„მატერიალურ ფასეულობათა დაცვაში“ ლენინი გულისხმობს, რომ საკონტროლო ორგანოებმა უნდა გამოავლინონ სოციალისტური ქონების დამტაცებლები, ქურდები, გამფლანგველები, არ დაუშვან სახალხო დოვლათის უყაირათოდ ფლანგვა, და შექმნან ისეთი მდგომარეობა, როცა სახალხო დოვლათი ხალხისაკენ საერთო ინტერესებს მოხმარდება.

„მუშაობის სისწორის შემოწმებად“ იგულისხმებოდა კონტროლის ამოცანა — იმის შემოწმება, თუ რამდენად დროულად, სწორად და ზუსტად სრულდება პარტიისა და მთავრობის გადწყვეტილებანი და ღონისძიებანი, რამდენად გონიერულად არის მოწყობილი ამ მხრივ ამა თუ იმ ორგანოს, უწყების და დაწესებულების მუშაობა, მისი აპარატის საქმიანობა, როგორ ეხმაურებიან მშრომელთა საჭიროებასა და საჭიროებებს. რა თქმა უნდა, შეცდომების, დაუდევრობის, გულგრილობის, მოტყუებისა და მსგავს მოვლენათა გამოვლინების შემდეგ კონტროლის ორგანოებმა უნდა მიიღონ გადამჭრელი ზომები.

„მოშაობის რაც შეიძლება მეტი პროდუქტიულობის უზრუნველყოფად“ ლენინი გულისხმობდა, და ეს აზრი მას პირდაპირ აქვს გამოთქმული, არა მარტო პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოებისა და დაწესებულებების ეფექტიან მუშაობას, არამედ მატერიალური წარმოების სფეროში მაღალპროდუქტიულ მუშაობასაც. ლენინი, მაგალითად, კონტროლის მოვალეობად თვლიდა ბრძოლას შრომის ნაყოფიერების ამაღლებისათვის, პროდუქციის გადიდებისათვის. ამ მხრივ კონტროლს უნდა შეემოწმებინა სამეურნეო ორგანოების მუშაობა და დაესახა საჭირო ღონისძიებანი.

ვ. ი. ლენინმა მთელი პირდაპირობით და ნათლად განსაზღვრა საკონტროლო ორგანოების მიერ **გამოსაყენებელი** ძირითად **ღონისძიებათა** ხასიათი და ეს ღონისძიებანი გაპყო ორ კატეგორიად: ერთი კატეგორიის ღონისძიებანი უნდა იყოს ისეთი, რომლებიც თავიდან აიცილებენ შესამოწმებელ ორგანოებს თუ ორგანიზაციებს შესაძლო შეცდომებს, აღკვეთენ ბოროტმოქმედების შესაძლებლობას, დაუდევრობას, გულგრილობას თუ სხვა სახის დანაშაულობას. ეს, ასე ვთქვათ, პროფილაქტიკური, გამაფრთხილებელი ღონისძიებებია.

მუშურ-გლეხური ინსპექციის ამოცანას, — ამბობდა ვ. ი. ლენინი, — „შეადგენს არა მარტო და არა იმდენად „დაჭერა“, „მხილება“ (ეს სასამართლოს საქმეა, რომელთანაც მუშაგლეხთინი ახლო დგას, მაგრამ სრულიადაც არ არის იგივე, რაც სასამართლო), — რამდენადაც **გამოსწორების უნარი.**

უნარიანი გამოსწორება დროულად — აი მუშაგლეხთინის მთავარი ამოცანა“ (ტ. 33, გვ. 27). მეორე კატეგორიის ღონისძიებანი, უკვე სხვა ხასიათისაა — ეს არის ადმინისტრაციული ზომები, მუშაკების დასჯა, გადაყენება და პასუხისგებაში მიცემაც კი.

კონტროლი, როგორც ლენინი ამბობდა, უნდა იყოს პრინციპული, შეურიგებელი და მტკიცე, ისე მტკიცე და ისე შეურიგებელი, რომ პარტიისა და მთავრობის დადგენილებათა არშემასრულებლები, სოციალისტური კანონიერების დამრღვევნი, სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამომყენებელნი, ბიუროკრატები და საქმის გაჭიანურებლები **უნდა თრთოდნენ რევოლუციური საზოგადოებრიობის კონტროლის წინაშე.**

სწორად დაყენებული კონტროლის პირობებში ყოველი პატიოსანი, ენერგიული, ინიციატივიანი მუშაკი უნდა ელოდეს წახალისებას, მადლობასა და ჯილდოს, ხოლო მუქთახორა, ბატყუარა, სახელმწიფოებრივი ღონისძიებების ჩაშლელი უნდა ელოდეს სასჯელი. ეი ასეთ პირობებში გაამართლებს კონტროლი თავის დიდ პარტიულ და სახელმწიფოებრივ, საერთო-სახალხო დანიშნულებას.

ვ. ი. ლენინს კონტროლის ძალის, მისი ეფექტურობის, ქმედითობის, საქმრო შედეგიანობის წყაროდ მიაჩნდა შემოწმებაში მასების მონაწილეობა. ლენინს წარმოუდგენლად მიაჩნდა ერთიანი პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის განხორციელება ისე, თუ მასში არ მონაწილეობენ მშრომელთა მასები, ან, როგორც თვითონ იგი ამბობდა, თუ შემოწმება არ ხდება „ქვედა ფენებიდან“ და „ქვედა ფენების მიერ“, თუ ეს შემოწმება და მუშაობის შეფასება საჯაროდ არ გამოაქვეთ. ლენინი არაერთგზის, სხვადასხვა სახით, მტდამ ხაზგასმით აღნიშნავდა დასახელებული პრინციპის უარყოფად დაცვის აუცილებლობას. სწორედ ამაშია პარტიულ-საბჭოთა კონტროლის დემოკრატიულობა, რომლის მსგავსი არ არის და არც შეიძლება იყოს რომელიმე სხვა ტიპის სახელმწიფოში.

აი ლენინის მითითებანი ამ პრინციპის შესახებ:

კონტროლის ორგანიზაციის მთავარი მიზანია: **„მთელ მასაა, კაცებსაც და ქალებსაც განსაკუთრებით,** მონაწილეობა მივაღებინოთ მუშურ-გლეხურ ინსპექციაში“ (ტ. 30, გვ. 357).

„რაც შეიძლება მეტი შეგნებული მუშები და გლეხები მოვიზიდოთ... სახელმწიფო კონტროლში სამუშაოდ მუშაობის გაუმჯობესებისა და ბიუროკრატიზმის, გაჭიანურებისა და კანცელარიულობის აღმოსაფხვრელად“ (ტ. 29, გვ. 313).

„აუცილებლად საჭიროა, რომ ფართო უპარტიო მასები ამოწმებდნენ ყველა სახელმწიფო საქმეს და თვითონ სწავლობდნენ მართვა-გამგეობას“ (ტ. 30, გვ. 422).

სწორედ ასეთი კონტროლი შექმნა თავის დროზე ვ. ი. ლენინმა და სწორედ ასეთ კონტროლს ქმნის ახლა ჩვენი პარტია, რაღგან მხოლოდ ასეთი კონტროლი, როგორც ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი ამბობდა ნოემბრის პლენუმზე, „პარტიული და სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობის სრულყოფის, მშრომელებთან პარტიის კავშირის გაძტკიცების, საზოგადოების საქმეთა მართვაში მასების ჩაბმის მძლავრი საშუალებაა“.

რ ოგორც ლენინი გვასწავლიდა, სოციალისტურ სახელმწიფოში პირველი საქმეა პარტიის ხაზის, პოლიტიკის სწორად დასახვა, მაგრამ ეს მხოლოდ საქმის დასაწყისია. როცა მოცემულია სწორი პოლიტიკა, მას შემდეგ მთავარია მისი განხორციელების უზრუნველყოფა. ეს კი დამოკიდებულია სათანადო პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო კადრების არსებობაზე. საქმის წარმატებას წყვეტენ კადრები. ამიტომ უმნიშვნელოვანესი ამოცანაა კადრების აღზრდა, სწორად შერჩევა და განაწილება. აქ შეუძლებელია რაიმე არაორგანიზებულობა, უყურადღებობა, გულგრილობა. სოციალისტურ სახელმწიფოს არ შეეძლია ეს დიდი საქმე მუდამ თავის უყურადღების ცენტრში არ ჰქონდეს დაყენებული.

ვ. ი. ლენინი განსაკუთრებით ამახვილებდა ყურადღებას ჩვენი სახელმწიფოს თავისებურებაზე და აცხადებდა, რომ „ახლა „შეპტრონეა“ მუშურ-გლეხური სახელმწიფო, და მან ფართოდ, გეგმაზომიერად, სისტემატურად **და აშკარად** უნდა დააყენოს სამეურნეო მშენებლობის დარგში საუკეთესო მუშაკების, სპეციალური და საერთო ადგილობრივი და საერთო-სახელმწიფოებრივი მასშტაბის ადმინისტრატორთა და ორგანიზატორთა შერჩევის საქმე“ (ტ. 32, გვ. 492).

მ ა ნ ა მ დ ე, სანამ კომუნიზმის „უმაღლესი“ ფაზა დადგებოდეს, სოციალისტები მოითხოვენ შრომის ზომისა და მოხმარების ზომის უსასტიკეს კონტროლს საზოგადოების მხრივაც და სახელმწიფოს მხრივაც... მუშგლეხინმა უნდა შეისწავლოს, შეათანხმოს, შეაჯამოს, ანგარიშგების დაყენების ხერხები, ნაკლოვანებათათვის სასჯელის ხერხები, მოტყუებისათვის „დაჭერის“ ხერხები, საქმით შესრულების შემოწმების ხერხები.

ვ. ი. ლენინი

პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მოღვაწეობის ყველა სფეროში ყოველ თანამდებობაზე დაყენებულ ფაქტიურად ერთ-ერთ ადამიანები, როგორც ლენინი ამბობდა, „ამხოლუტურად კეთილსინდისიერი პირები“, ისეთები, რომლებიც „არც ერთ სიტყვას სინდისის წინაღმდეგ არ იტყვიან“ და შეეძლებათ პრინციპული ხაზის გატარება რევიზიებისა და შემოწმებათა პროცესში, შესრულებული მუშაობის შეფასების საქმეში.

ასე დასტა დიდმა ლენინმა პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოების მუშაკის ტიპი.

ვ. ი. ლენინის ამ მითითებით ხელმძღვანელობენ ახლა პარტიული ორგანოები, როცა არჩევენ და ნიშნავენ ამჟამად შექმნილ პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოების მუშაკებს.

კ ონტროლის ფუნქციები და ამოცანები ვ. ი. ლენინმა თავის ერთ-ერთ წერილში უაღრესად შეკუმშული სახით გამოთქვა ასე: კონტროლმა უნდა უზრუნველყოს **„მატერიალურ ფასეულობათა დაცვა“, „მუშაობის სისწორის შემოწმება“**, და **„მუშაობის რაც შეიძლება მეტი პროდუქტიულობის უზრუნველყოფა“**. სხვა ადგილას ლენინს უფრო გაშლილი სახით აქვს ჩამოყალიბებული ეს ამოცანები, და ასე ვთქვათ, გაშიფრულია ზემოთ დასახელებული სამი ამოცანა.

„მატერიალურ ფასეულობათა დაცვაში“ ლენინი გულისხმობს, რომ საკონტროლო ორგანოებმა უნდა გამოავლინონ სოციალისტური ქონების დამტაცებლები, ქურდები, გამფლანგველები, არ დაუშვან სახალხო დოვლათის უყაირათოდ ფლანგვა, და შექმნან ისეთი მდგომარეობა, როცა სახალხო დოვლათი ხალხისაკენ საერთო ინტერესებს მოხმარდება.

„მუშაობის სისწორის შემოწმებად“ იგულისხმებოდა კონტროლის ამოცანა — იმის შემოწმება, თუ რამდენად დროულად, სწორად და ზუსტად სრულდება პარტიისა და მთავრობის გადწყვეტილებანი და ღონისძიებანი, რამდენად გონიერულად არის მოწყობილი ამ მხრივ ამა თუ იმ ორგანოს, უწყების და დაწესებულების მუშაობა, მისი აპარატის საქმიანობა, როგორ ეხმაურებიან მშრომელთა საჭიროებასა და საჭიროებებს. რა თქმა უნდა, შეცდომების, დაუდეგრობის, გულგრილობის, მოტყუებისა და მსგავს მოვლენათა გამოვლინების შემდეგ კონტროლის ორგანოებმა უნდა მიიღონ გადამჭრელი ზომები.

„მოშაობის რაც შეიძლება მეტი პროდუქტიულობის უზრუნველყოფად“ ლენინი გულისხმობდა, და ეს აზრი მას პირდაპირ აქვს გამოთქმული, არა მარტო პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოებისა და დაწესებულებების ეფექტიან მუშაობას, არამედ მატერიალური წარმოების სფეროში მაღალპროდუქტიულ მუშაობასაც. ლენინი, მაგალითად, კონტროლის მოვალეობად თვლიდა ბრძოლას შრომის ნაყოფიერების ამაღლებისათვის, პროდუქციის გადიდებისათვის. ამ მხრივ კონტროლს უნდა შეემოწმებინა სამეურნეო ორგანოების მუშაობა და დაესახა საჭირო ღონისძიებანი.

ვ. ი. ლენინმა მთელი პირდაპირობით და ნათლად განსაზღვრა საკონტროლო ორგანოების მიერ **გამოსაყენებელ** ძირითად **ღონისძიებათა** ხასიათი და ეს ღონისძიებანი გაპყო ორ კატეგორიად: ერთი კატეგორიის ღონისძიებანი უნდა იყოს ისეთი, რომლებიც



სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი — ფართო მასებში!

კ ონტროლი, ოდესაც ... ლენინ ... ეფექტურ ... ეფექტურ ... ეფექტურ

სინდისი და სამართალი

ძვირფასო რედაქცია, მე ვმუშაობდი სოფელ ხელთუბნის კოლმეურნეობაში, მეაბრეშუმეობის ბრიგადაში. გასული წლის 21 ივნისს კოლმეურნეობამ გაგვგზავნა ყარაიაზში აბრეშუმის ჭიის გამოსაკვები თუთის ფოთლის მოსატანად. ჩვენ ხშირად გვიხდებოდა იქიდან თუთის ფოთლის მოტანა. ერთხელ, უკან დაბრუნებისას, მარნეულიდან დაახლოებით ორ კილომეტრზე, წითელ ხიდთან მოხდა ავარია.

ავარიის შედეგად დავზიანდით ორნი, მე და ჩემი ამხანაგი მაყვალა დათუნაშვილი. მე 23 წლისა ვარ, მაყვალა — 19 წლისა. ახლა ისიც მწოლიარეა.

ათ თვეზე მეტი საავადმყოფოში ვიწექი. ჩვენი საქმე დღესაც მარნეულის სასამართლოშია, დღემდე არ გადაწყდა საბოლოოდ სამართალი, საქმე 16-ჯერ არის გადადებული.

არც კომკავშირის ორგანიზაცია გვაქცევს ყურადღებას, არც კოლმეურნეობის ხელმძღვანელობას გამოუჩენია დიდი გულისხმიერება.

გთხოვთ მოგვხედოთ, გაარკვიოთ, რა არის მიზეზი საქმის ასეთი გაჭიანურებისა. საქმეს განიხილავს მარნეულის სახალხო სასამართლო კაზარიანის თავმჯდომარეობით.

გულო მერაბიშვილი,

გორის რაიონის სოფელ ხელთუბანი. 7 დეკემბერი, 1962 წელი.

□ □

გორთან მისვლამდე ბარჯვნივ გადაუხვევთ და იქვე ტაფობზე არია ასეთი სოფელი — ხელთუბანი, ბარაკეანი; ღონიერი სოფელი. არტემ მერაბიშვილს იკითხავთ.

— რომელი არტემა, აი, გოგო რომ ჰყავს მწოლიარე?! — გეტყვით პირველივე შემხვედრი და მიგასწავლით ერთ ასალაშენებულ სახლზე, სადაც არავის სძინავს არ უცინის, სადაც დიდი ხანია სვედამ, დარდმა, ავადმყოფობამ დაისადგურა.

ბეგოვთ თუ არა ეზოში, ფარდაგადაწეულ ფანჯარასთან (ეს ყველგან ასეა, სადაც დიდი ხნის მწოლიარე „ყავთ") ძალმაწევთ საწოლს. წელიწადნახევარია სარეცელს მიურულ გულო მერაბიშვილს ისევ დარჩენია, ამ ფანჯრიდან მოავლოს თვალი ეზოს, ქუჩას...

იქვე, თითქმის ამ სახლის პირდაპირ, ერთ ბატარა ოთახში წევს სამაგულო ომის ინვალიდის დიდი ჯალაბის პატრონის გიორგი დათუნაშვილის შვილი, 19 წლის მაშთაველა გოგონა, ოჯახის იმედი და სიხარული — მაყვალა. ისიც გულს ბედის მოზიარეა, მასაც ხერხემალი აქვს დაზიანებული.

ეს გოგონები ერთად იყვნენ იმ საბედისწერო დღეს, 21 ივნისს, როცა კოლმეურნეობა „განთიადმა" ისინი ყარაიაში აბრეშუმის გამოსაკვები თუთის ფოთლის მოსატანად გაგზავნა.

წითელ ხიდთან მოხდა ეს საზარელი ამბავი. ორი მანქანა ერთმანეთს შეაწყდა. ერთს მართავდა ხელთუბნელი გიორგი მერაბიშვილი, მეორეს — ერევნელი ვართქუს სიმონიანი.

დაზარალდა ორი ქალიშვილი. სათქმელად ადვილია, კი არ დაზარალდა, სამუდამო სულიერი ტრავმა და, ვინ იცის, როდემდე უკურნებელი ავადმყოფობა მეიღო ორმა ახალგაზრდამ, ქალიშვილებმა, გამრჯე გოგონებმა, რომლებსაც ყოველი დილა იმედით უთენდებოდათ და ყოველ ღამე ვინ იცის რამდენი ფარული ოცნება ჰქონდათ ძილისპირს.

უკვე წელიწადნახევარია ეს ორი მეგობარი წვიანან საკმაოდ იმედმოხდილნი და გულაყრილნი.

გულო მერაბიშვილის კომკავშირის ბილეთში წელიწადნახევარია არ არის საწევრო ანარიცხის აღნიშვნელი ბეჭედი და მდივნის ხელისმოწერა. დღემდე არც კოლმეურნეობიდან, არც კომკავშირის ორგანიზაციიდან არავის შემოუღია ეს კარი. კიდევ კარგი, რომ კარის მწყობლები არ აკლებენ ნახვასა და იმედიან სიტყვას, თორემ სულ სასოწარკვეთას მიეცემოდნენ საბრალო გოგონები.

— ქვის გული უნდა გქონდეს, შვილო, რომ არ ატირდე, არტემს გულოს მაყურებელი. დათუაანთ მაყვალას თვალი ჰქონდა როგორც თონის ნაპერწკალი და მარჯვენა როგორც ჯარა, მაშ ღვთის წყრომა არ არის ბესი ლოგინში ხოლა?.. — ასე ამბობენ ახლობლები, მეზობლები.

საქმე კი... სისხლის სამართლის საქმე „ბრალდებისა გამო"... დღესაც მარნეულის სახალხო სასამართლოს ცეცხლგამძლე კარადაში დევს. მდივან ქალს დიდი მადლობა მოვახსენეთ, რომ (მოსამართლე ვერ ვიპოვნეთ) საქმე მოგვცა და გაგვაცნო.

1961 წლის 21 ივნისს მომხდარი ასეთი შემაძრწუნებელი ფაქტის გამო აღძრულ საქმეზე საბოლოო განაჩენი დღესაც არ არის, და, ვინ იცის, თუ მოსამართლე კაზარიანს საკუთარ სინდისში ჩახედვის დრო არ ეკნა, რამდენ ხანს იქნება ეს საქმე კიდევ გადადებული ხან ვაჯითა და ხან უვადოდ.

ისეთი მედალი არ არსებობს, ორი მხარე არ ჰქონდეს, ისეთი საქმე არ არსებობს, რომლის გადადებას ან შეჩერებას მიზეზი ვერ გამოვუნახეთ, მაგრამ არავობს დაუშრეტელი კანონი. რომლიც სამსახურიდან არავის არ ხსნის, არავის არ აპატიმრებს, მაგრამ ამ კანონის ძალით საზოგადოებას უსასტიკესი განაჩენი გამოაქვს ადამიანისათვის. ამ კანონს ჰქვია სინდისი, პროფესიონალური ეთიკა და მორალი.

1962 წლის 6 მარტს მარნეულის სახალხო სასამართლომ წინასამსჯავრო სხდომაზე განიხილა და 26 მარტს სამსაჯავრო სხდომაზე მოსაამენად დანიშნა საქმე გიორგი მერაბიშვილისა და ვართქუს სიმონიანის ამ დანაშაულის გამო. მაგრამ გადაიდო, დაინიშნა 4 აპრილს, კვლავ გადაიდო, დაინიშნა 20 აპრილს, გაირჩა და განაჩენიც გამოქვეყნდა, მძღოლებს სიმონიანსა და მერაბიშვილს მიესაჯათ ორორი წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლომ, სრულიად სამართლიანად დაუბრუნა საქმე სახალხო სასამართლოს და მიითითება მისცა ტექნიკური ექსპერტიზის ჩასატარებლად. ამის შედეგად კვლავ ბევრჯერ დაინიშნა და გადაიდო საქმე — 8 ივნისს, 29 ივნისს, 25 ივლისს... ხან ექსპერტი იყო შეშფოთებაში, ხან მოსამართლე გახლდათ ბეულეტენზე. ადგა და კაზარიანმა ბრალდებულებს აღმკვეთი ღონისძიება — პატიმრობა — თავდებობით შეუცვალა და...

ახლა ხან მოწმე არ არის, ხან დაზარალებული, ხან ბრალდებული. ვის რაში ენაღვლება ორი ახალგაზრდა რომ დღესაც საწოლზე არის მიჯაჭვული?

უკანასკნელად რომ გადაიდო საქმე, მოსამართლე კაზარიანმა დანიშნის თარიღიც კი არ აღნიშნა. ეს მისი საქმეა, მოსამართლის ფუნქციებში ვინ ჩაერევა, ჩვენში ბავშვმაც კი იცის, რომ „მოსამართლე დამოუკიდებელია და მხოლოდ კანონს ემორჩილება", ვინ აღუდგება დემოკრატიის ამ უდიდეს და უწმინდეს პრინციპს, მაგრამ არსებობს საზოგადოების აზრი და თვალი, რომლის კონტროლს ყველა და ყველაფერი ემორჩილება. ხომ ფაქტია, რომ დანაშაული მოხდა, ხომ ფაქტია, რომ ორი სიცოცხლე დასახიჩრდა, ისიც ხომ ფაქტია, რომ დამნაშავენი გარეთ დაბრძანდებიან და არხეინად გრძნობენ თავს... სამწუხაროდ, ისიც ხომ ფაქტია, რომ საქმე მარნეულის სახალხო სასამართლოში ხელუხლებელი დევს და გაწმეკითხული არსად არის. ვინ იცის სადამდე იქნება ასე!

სად შეხვდებით იმაზე უფრო დიდ გულგრილობას, ადამიანის აბუზად აგდებასა და უსულგულობას. მოდი და მოკითხე ასეთ მოსამართლეს სამართალი.

როდის მოაბამს კაზარიანი ამ საქმეს თავს?

...წვამან წელიწადნახევარია ხერხემალდაღეწილი გოგონები და ელიან სამართალს...

დე სინდისის ხელმა გადაფურცლოს ეს საქმე!

რ. დვალიშვილი.

ეპოლოგი

ძველი დაანგრიეს, ახალს არ ამთავრებენ

ჯერ კიდევ მიმდინარე წლის [illegible] ვიდნენ მშენებლები [illegible] ... [illegible] ... [illegible] ...

მწერლისა და რეჟისორის თანამეგობრობა

როცა ადამიანი ხედავს მგზეს...

უსაფუძვლოდ არ დაუსვამს პათეტიკური კითხვა ჩვენ დრამატურგს კოპოუტს — „რისთვის დადიან ადამიანები თეატრში?!“ — თუ მცა, კაცმა რომ თქვას, უფრო ადვილია უპასუხო კითხვას, თუ „რატომ არ დადიან ადამიანები თეატრში?“.

მაინც დამაინც დიდი მანძილით არ დავცილებივართ იმ დროს, როცა ჩვენი თეატრების სცენაზე პათეტიკური ტრაგედები, რომლებიც ვითომდაც ადამიანის მაღალი სულიერი მისწრაფებების გამომხატველად იყვნენ მოხმობილი (სინამდვილეში კი სწორედ შინაგანი სამყაროს სიღატაკეს ამხელდნენ), — სცვლიდნენ გულში ჩამწვდომ, მართალ მხატვრულ სიტყვას, ხოლო მეორე მხრივ (ვითომც ამ პათეტიკის საპირისპიროდ) ემპირიული ყოფა და ხასიათები ჩრდილავდნენ პოეტურს, ორიგინალურს. ცხოვრების მოვლენები და ფაქტები ბატონობდნენ ადამიანზე და ისიც საუწყებო ენით მოგვითხრობდა „დიდ ამბებზე“ და თვითონ კი ამ დროს უსუსურად გამოიყურებოდა.

ასეთ ვითარებაში ჩვენი სცენის მოღვაწეები ხმამაღლა იმეორებდნენ მარჯანიშვილის ცნობილ ფრაზას — „თეატრის მიზანი ერთია — მიანჯოს მაყურებელს სიხარული“, — მაგრამ მაყურებლები ჯუტობდნენ და თეატრიდან მაინც დაღრეჩილები გამოდიოდნენ.

საერთოდ თეატრი, რომელიც ადრე ხელოვნების სხვა დარგებს წინ უსწრებდა ორიგინალობითა და მხატვრული ფორმების მრავალფეროვნებით, ყოველი ახალი მხატვრული მიმდინარეობისადმი სწრაფი რეაქციით და ბევრ რამეს თვით განაპირობებდა, ჩვენი საუკუნის ამ ბოლო, სწრაფად ცვალებად, გარდამავალ ხანაში ერთ პერიოდში ჩამორჩა და ერთობ გვიან გამოეხმაურა სიახლეთა იმ სულისკვეთებას, რომელიც მსგავალს, ეთქვათ, თანამედროვე მუსიკას, არქიტექტურას და პლასტიკურ ხელოვნებას.

ცხადია, თეატრის მხოლოდ სისუსტეს და არა სიძლიერის დამადასტურებელი იქნება, თუ პირდაპირ, წმინდა სახით იქნა გადმოტანილი, მაგალითად, სპექტაკლების მხატვრულ გაფორმებაში, დეკორაციებში არქიტექტურული ხელვების თავისებურება და ორიგინალობა, მაგრამ ახალი გამრმახსნელი ფორმების ძიება დრამატურგიაში, რეჟისურაში, სამსახიობო ხელოვნებაში, მოწოდებული სიახლისადმი იქნება ის სტიმული, რომელიც დასძღვევს ამ ჩამორჩენას. ამის ნათელი მაგალითი მოგვცა დ. ალექსიძის, ა. ჩხარტიშვილის, მ. ფუძანაშვილის ნამუშევრებმა, მაგრამ მთავარი „ჯა მაინც წინ ძევს.

ამ გზაზე სულ ახლახან ჩანებული ნაბიჯი გადადგა რეჟისორმა **გ. ლორთქიფანიძემ**, რომელმაც დადგა **ნ. დუმბაძის** „მე ვხედავ მზეს“.

მწერალ ნ. დუმბაძისა და რეჟისორ გ. ლორთქიფანიძის შეხვედრა უნდა მივაწეროთ ორი შემოქმედის თავისებურებათა, სამყაროს ხილვათა იმ ბედნიერ შერწყმას, როცა შემოქმედნი ერთიერთს ავსებენ და მთლიანი სახით წარმოგვიდგებიან; ამ მთლიანობის ორიგინალობა, და თუ გნებავთ, მისი პარადოქსალურობაც კი სწორედ იმაში ძევს, რომ არ არის უბრალოდ ყოფილი არცერთი მათგანის თავისებურება.

ადრე გ. ლორთქიფანიძემ საინტერესო სპექტაკლები დადგა, მაგრამ მან თავისი თავი მთლიანად ქართულ კომედიაში, კერძოდ, ნ. დუმბაძის ორი ნაწარმოების დადგმით იპოვნა.

თუ ამჟამად უკვე მოსკოვსა და რიგაში გახმაურებული სპექტაკლი „მე, ბებია, ილარიონ და ილარიონი“ (ამ დადგმას საკავშირო ჟურნალი „ტეატრ“-ი ორგზის გამოუხმაურა დიდი ქებით) პროზაულ პირველწყაროს უფრო ერთგულად მისდევდა და ეპიზოდები თითქმის შეუცვლელი თანამიმდევრობით იყო გადმოტანილი (მაგრამ მახვილგონივრული მხატვრულ-სცენური ინტერპრეტაცია ხდებოდა), თუ ზურგიკელს, ამ გურის ლაზარილის ტორმოსელს ლირიკული ლაღობებები და თხრობა (ნ. დუმბაძის ორივე ნაწარმოები პირველი პირით არის დაწერილი) აკავშირებდა მხატვრული სტრატეგიებით დასრულებულ სცენებს (ხშირად ერთმანეთისაგან არა ლოგიკურად რომ გამომდინარეობდნენ), აქ, ამ ახალ სპექტაკლში, სავსებით დაძლეულია ეს ფრაგმენტულობა.

სპექტაკლში „მე ვხედავ მზეს“ ყოველი სცენა ჰაბუკი სოსოიას თვალით არის თითქოს დანახული, ცხოვრების მოვლენები და ფასეულობები ამ ჰაბუკის შინაგანი სამყაროს პრიზმაშია გატარებული და ეს აძლევს წარმოდგენას ლირიკული აღსარების პირდაპირობასაც, და მომხიბლავ უშუალობას.

მთელი სპექტაკლი კონტრასტების პრინციპზეა აგებული და აქ თანამრობასა და ტაქტის გრძნობა არასოდეს არ ღალატობს რეჟისორს. მაგრამ ეს კონტრასტი ამბებისა და განცდების გამწვანასწორებელი როლში კი არ გამოდის, არამედ როგორც რეჟისორის ესთეტიკური პრინციპი, რომელიც თვით ნ. დუმბაძის ნაწარმოების შინაგანი სტრუქტურით არის გაპირობებული.

ჩვენ ვგრძნობთ ცხოვრების განუწყვეტელ მდინარებას და აია ცხოვრებისეული მოვლენების უბრალო განლაგებას, როგორც საგანგებოდ — მაყურებლისათვის სულის მოსათქმელად — ტრაგიკულ სცენებს თავშესაქცევი ჟანრული სცენები ეხაცვლებიან. ჩვენი მწერალი და რეჟისორი ყოველ მოვლენაში ხედავენ ძლიერსაც და სუსტსაც, სასაცილოსაც და სერიოზულ მხარესაც.

ნ. დუმბაძისათვის დამახასიათებელია ტუმორის, თხრობის მოულოდნელი შემოტრიალება სერიოზულსაკენ; ხუმრობის, მახვილი სიტყვის ბრძმა ვგრძნობთ ადამიანების მოსაყვარულე გულსა და სულიერ კდემამოსილებას. და ყოველივე ეს თანმიმდევრულად კი არ არის ნაჩვენები, არამედ მოულოდნელი ეფექტით, „აფეთქებით“. ზოგჯერ ამბავი მთლიანად მხიარულ გამაშია განვითარებული და თითქოს ასევე ხალისიანად უნდა დამთავრდეს იგი, მაგრამ ნ. დუმბაძე ბოლოს იღებს სერიოზულ ტონს და ქმნის საპირისპირო ფსიქოლოგიურ ეფექტს, რომელიც შეგრძავს და აგაღელვებს, სულს სილრმემდე ჩაგწვდება.

ეს თვისება რომ არ ჰქონდეს მწერალს ასეთი ძალით მომადლებული, მაშინ იგი მხოლოდ მახვილგონიერი, მხიარული ამბების მთხრობელი იქნებოდა. ასევე სერიოზულ ამბავს იგი გამოუნახავს ხოლმე მსუბუქ და „კვიმატ“ დასასრულს.

ყველაზეარი ეს იგრძნო რეჟისორმა გ. ლორთქიფანიძემ და მისი სპექტაკლი აღსავსეა ცვალებადი, მრავალი ფერით, რომლებიც ბოლოს ერთ მთლიან, ძალზე კოლორიტულ გამას ქმნიან.

თუ „მე, ბებია, ილიკოსა და ილარიონში“ მხატვრული სურათების სწრაფი მონაცვლეობა ქმნიდა ცხოვრების მჩქეფარეს, მისი რიტმის განწყობილებას, ახალ სპექტაკლში თვით ამბისა და ხასიათების განვითარებაშია ნაგრძნობი ეს რიტმი. რეჟისორს აქ ახასიათებს ლაკონიზმი, თავდაჭერილობა და ჰეშმარიტად მხატვრული სისადავე. ტრაგიკული, მძიმე ამბავი, სცენაზე ვითარდება სწორედ იმგვაროდ და იმდენ ხანს, რომ მან ზედმეტად არ გატანჯოს მაყურებელი და მძიმედ არ დაიწვეს მის სულს. ასევე, ჟანრული სცენები ერთი მიქნევით, სწრაფად არის გადაწყვეტილი, რათა იგი არ გადაიზარდოს თვითმიზნურ, თავშესაქცევ ამბად. გ. ლორთქიფანიძემ ეიზოეფლად გაიარა „ცრემლით დრამასა“ და ფარსს შორის და შექმნა ორიგინალური, უფრო ტრაგიკომიკური სპექტაკლი, რომელსაც არ აკლია არც სანახაობითი მომენტები და არც ფსიქოლოგიური სიღრმე. ძმიმე სცენას მოულოდნელად გამმაკთალი იუმორის სხივი ანათებს და ამსუბუქებს და პირუკუ, რაც კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ ცხოვრება წინააღმდეგობებისაგან არის მოქსოვილი და რომ ეს მრავალმხრივობაა სწორედ მისი თვისება.

გ. ლორთქიფანიძემ მწერლის სიტყვიერ იუმორს მშვენიერი სცენური ადეკვატი უპოვნა და მოქმედებაში გადაიყვანა იგი. სიტყვიერი იუმორიდან მან შექმნა „მდგომარეობათა კომიზმი“, რაც უბრალო ილუსტრაცია კი არ არის ნაგულისხმები აზრის, არამედ დამოუკიდებელი ღირსებების შემცველია. კონტრასტების ის პრინციპი, რომელიც სერიოზულისა და კომიკურის შერწყმას, მათს მონაცვლეობას ეყრდნობა, რეჟისორს საშუალებას აძლევს თამამად გადაიყვანოს ერთი სცენური მდგომარეობა მეორეში, ყოველ სცენაში შეიტანოს ახალი ძლიერი და ასევე მოულოდნელი ნაკადი. ჟანრულ სცენას ზოგჯერ იგი ამთავრებს ჰეშმარიტი პათეტიკურობით, ან შეაქვს მასში ლირიზმის ძლიერი შუქი, უცებ მონუმენტური სპექტაკლისათვის დამახასიათებელ შტრიხსაც კი წარმოგვიდგენს და ყოფით სცენას ზრდის პოეტურ პიპერბოლაში.

ლირიკული სპექტაკლისათვის დამახასიათებელი ნახევარტონებით იწყებს სპექტაკლს რეჟისორი, თანდათანობით ზრდის მას და, ბოლოს, პიესის გმირების სულიერ კეთილშობილებას მთელი სისავსით და სრული ძღერადობით წარმოსახავს.

მხატვარი **ოთ. ლითანიშვილის** მიერ შექმნილ პლასტიკურ, მკვეთრად ლოკალიზებულ, მაგრამ მაინც პოეტურ სამყაროში მოქმედებენ სპექტაკლის გმირები. მოქმედება მიმდინარეობს წაკვეთილ ბორცვზე, რომელსაც ირიბულად სერავენ გზები და მისი სიმაღლიდან არა მხოლოდ ერთი სოფელი, არამედ თითქოს მთელი ქვეყანა მოჩანს. როცა ეს გმირები ბავშვები არიან, ისინი მხოლოდ თავიანთი სოფლის სანახებს ხედავენ აქედან, ხოლო შემდეგ უკვე შორეულ სივრცეებსაც სწვდებიან.

ამ ბორცვზე შემომსხდართ ვხედავთ ჩვენ პიესის ანალგაზრდა გმირებს **სოსოიას (გ. ქავთარაძე)** და **ხატიას (ქ. კიკნაძე)**, რომლებიც სპექტაკლის დასაწყისში გულუბრყვილო, მაგრამ პოეტური უშუალობით გამსჭვალულ საუბარს მისცემიან. ამავე ბორცვზე შედგებიან უკვე მრავალჭირნახანი, ნაადრევად დაბრძენებული, განსაცდელისაგან გამაგრებული, მაგრამ ძველებურად პოეტური სოსოია და ხატია. მათ ერთმანეთისთვის ძაგრად ჩაუვლიათ ხელი და გასაცქერიან ცის კიდეს, საიდანაც ამოდის ვეებერთელა, სოსაარი მზე.

ამ მზისგან გაშუქებული მათი ფიგურები ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებენ, თითქოს ისინი დიდ სიმაღლეზე იდგნენ, რაღაც მწვერვალის თავზე, და ამ ქვეყნად კაშკაშა მზის მეტი აღარაფერი მოჩანდეს.

ასეთია ამ სპექტაკლის სიმბოლური დასასრული. სანამ აქამდე მოვიდოდნენ ჩვენი გმირები, მათ განცდეს რთული, მძიმე განსაცდელი და მასში გამოაწრთეს თავიანთი სულიერი სიწმინდე. გ. ლორთქიფანიძე გვიჩვენებს სწორედ იმ სცენებს, რომლებმაც გმირების სულიერ ზრდაზე მოახდინეს მძლავრი ზეგავლენა. იმის გამოცდადების სცენა ფალიანი ძალზე ძუნწი, მაგრამ მეტყველი შტრიხებით. გლეხები მაყურებლისაკენ ზურგშეცეცით დგანან, მათს სხეულებში თითქოს ტყვია ჩაუსხამთ, ისეა დამძიმებული, შებრკილი ყოველი მათი მოძრაობა. სცენაზე შემოსულ სოსოიას ავი დუმილი ფიზიკურად ხელშესახებად ეჩვენება და მის ბავშვურ ცხობიერებაში მწუხარების პირველი ზარები დაიკვანენ.

გამომშვიდობების ნაძალადევი ხალისიანობის, თავის შემავრების უმწეობას რეჟისორი უცებ გვაგრძნობინებს ერთი შტრიხით, — ვიღაცას ერთხელ წასკდება უიმედო, განწირული ქვითინი და ჩვენ უკვე ვიცით, თუ ფსიქოლოგიურად როგორი დაძაბული ცხოვრებით სუნთქავდნენ ეს ადამიანები.

ასევე ლაკონიურად არის გადმოცემული ომისგან მოყენებული ტკივილების მთელი სიმწვავე... და რა მაგარი უნდა იყოს ქართველი კაცი, რომელიც ამ განსაცდელს ქამს იუმორის მხსნელ კრისტალს ატარებს სულში.

რეჟისორი ამ იუმორისაგან წარმოქმნილ სცენებს გვიჩვენებს ოსტატურად, გვაგრძნობინებს ქართველი ადამიანის ბუნების მრავალმხრივობასა და სილამაზეს. სამხედრო გაკვეთილისა და კოლმეურნეთა კრებას, სუფსაზე თევზჭამის სცენები, მახვილგონივრული ცხოველმყოფელ იუმორით აღსავსენი, გულწრფელი ფსიქოლოგიური სიმართლით არიან დაბოლოებულნი. რიხიანი, ცივი და შეზღუდული **სამხედრო მასწავლებლის (ტ. საყვარელიძე)** ბუნებაში ჩვენ ვგრძნობთ დიდ ადამიანურ სითბოს, მოსიყვარულე გულს, კეთილშობილურ ტაქტს, როცა იგი შეიტყობს, რომ ხატია თურმე ბრმა ყოფილა. კოლმეურნეთა კრება, აღსავსე სასაცილო და სერიოზული პერიპეტიებით, უცებ მთავრდება პათეტიკური შეძახილით, როცა **ფოსტალიონი (გ. სიხარულიძე)** წერილებს ჩანთას ძირს დაანარცხებს და ღმერთს შეჰბღავლებს — ჩამოდი და შენ მიუტანე ადამიანებს სამწუხარო ამბავიო.

ასათი ეფექტური, ორიგინალური დეტალი მრავალია სპექტაკლში. და ისინი უფრო ღრმად გვიჩვენებენ არა მარტო მოვლენის ნამდვილ შინაარსს, არამედ ხასიათის სიღრმესაც...

არსად, არცერთ სცენაში გ. ლორთქიფანიძეს არ მიუმართავს რაიმე თვითმიზნური რეჟისორული ტრიუკისათვის, ყველაფერი ორგანული და ნათელია და ამიტომაც ასე საინტერესოდ არის ნაჩვენები ადამიანთა მთელი ცხოვრება.

ამ სპექტაკლის დიდი ღირსება ისიც არის, რომ მასში მრავალი მსახიობი შესანიშნავად თამაშობს. აქ თითქმის მთელი დასია დაკავებული და ყოველი მათგანი, თვით ეპიზოდური როლის შემსრულებელიც კი ცდილობს საინტერესოდ მოხაზოს სცენური სახე. დაწყებული **გ. ქავთარაძით**, რომელიც პირველად გამოდის სცენაზე. და დამთავრებული **კ. ლაფერაძით** და **გ. კოსტავთი** — ყველანი საინტერესოდ თამაშობენ.

ისევე როგორც ბრმა ხატია მხოლოდ მზეს ხედავს, მე მგონი, ჩვენი მწერალი და რეჟისორი ადამიანების სულში ასევე ხედავენ მზეს, რამაც შეაქნევინა მათ ეს საინტერესო სპექტაკლი.

ასეთი სპექტაკლის ნახვის შემდეგ უკვე ძნელი აღარ არის ვუპასუხოთ პაბლო კოპოუტს, თუ რისთვის დადიან ადამიანები თეატრში.

ნ. გურაბანიძე.

* * *

სურათზე: სცენა სპექტაკლიდან „მე ვხედავ მზეს“. ხატია — ქ. კიკნაძე, სოსოია — გ. ქავთარაძე.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ალ. არუთინიანი: დიდი ტრადიციების კვალდაკვალ

„ოგონიოკის“ ინტერვიუ

სამი მრავალმხრივ საინტერესო და საყურადღებო კონცერტი გამართეს თბილისში (სპორტის სასახლეში) ჩვენმა სომეხმა მეგობრებმა — სომხეთის სსრ ხელოვნების ცნობილმა წარმომადგენლებმა. ეს იყო ძმობის ჰეშმარიტი დღესასწაული, რომელმაც თავისი წვლილი შეიტანა ორი ხალხის — სომეხი და ქართველი ხალხების ურთიერთმეგობრობის კიდევ უფრო განმტკიცებაში, ეროვნულ კულტურათა კიდევ უფრო დაახლოებასა და გაცნობაში.

გაზეთ „ოგონიოკის“ კორესპონდენტთან საუბარში ცნობილმა სომეხმა კომპოზიტორმა, სომხეთის სსრ სახალხო არტისტმა ალექსანდრე არუთინიანმა თქვა:

— თბილისში ჩვენი გამოსვლები პირველი როდია. ქართველი მაყურებლების და მსმენელების წინაშე ბევრი სიმღერა ხელოვანი გამოსულა და მომავალშიც, ცხადია, უფრო განვითარდება ჩვენი ურთიერთკულტურული სტუმრობა. სომეხ ხელოვნების ოსტატთა დიდი კონცერტები, რომლებიც აბგარამად გაემართეთ, კარგად მოფიქრებული ღონისძიება იყო. რამდენადაც მახსოვს, მსგავსი რამ ჩვენ, სომხებს ჯერ არ მოგვიწყვია. თბილისელებს სომეხ ... ალბა ჰქონდათ ერთ საღამოს ... გასცნობოდნენ სომხურ-... ვნებას მთელი თავისი ... ფეროვნებით. კონცერტებზე უარმოდგენილი იყო სომხური კლასიკური და თანამედროვე მუსიკა, ვოკალური და ქორეოგრაფიული ხელოვნება, მუსიკალური ფოლკლორი, დეკლამაცია, ნორჩ მგვიოლინეთა ანსამბლი, ინდივიდუალური შესრულებლები, საესტრადო ანსამბლი, სიმფონიური ორკესტრი და სხვანი.

მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ჩვენი ხალხების მეგობრობა, რომელსაც მუდამ უმღერიან ... ...